

ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია

"გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვის მისაღებად აუცილებელია შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენა:

1. ექსპორტის შემთხვევაში (გარდა თეთრყვავილას ბოლქვების და ყოჩივარდას გორგლების ექსპორტის შემთხვევისა):

- განცხადება, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: ა) ექსპორტისათვის განკუთვნილი სახეობის ნიმუშების (სახეობა, ნაწილი, დერივატი) დასახელება (ქართული და ლათინური სახელწოდება), რაოდენობა, აღწერა; ბ) სახეობათა ნიმუშების ექსპორტის მიზანი (კომერციული, ზოოპარკისათვის, ბოტანიკური ბაღისათვის, ცირკისა და მოძრავი გამოფენისათვის, სამეცნიერო, სანადირო ტროფეი, კერძო საკუთრება, სამედიცინო, საგანმანათლებლო, ბუნებაში რეინტროდუქციისათვის/ინტროდუქციისათვის, ხელოვნურად მოშენებისათვის/ტყვეობაში გამრავლებისათვის); გ) ექსპორტისათვის განკუთვნილი სახეობის ნიმუშის წარმოშობის წყარო და დრო. დ) იმპორტიორის მონაცემები (სახელი, მისამართი). ე) განმცხადებლის ვინაობა და მისამართი; ვ) განცხადების წარდგენის თარიღი და განმცხადებლის ხელმოწერა; ზ) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხა;

- კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები, ხოლო ფიზიკური პირისათვის - იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები;

- სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. მოსაკრებლის გადახდა შესაძლებელია ნებისმიერ ბანკში სახაზინო კოდზე: 300773085. მოსაკრებელი ერთი ნებართვის მოსაღებად შეადგენს 50 ლარს;

- ნებისმიერი სხვა სახის დოკუმენტაცია, რაც შესაძლოა დაეხმაროს ადმინისტრაციულ/სამეცნიერო ორგანოს გადაწყვეტილების მიღებაში (მაგ: ნიმუშის წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი).

- კონვენციის პირველ დანართში შეტანილი სახეობების ნიმუშებისათვის: იმპორტიორი სახელმწიფოს CITES-ის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული იმპორტის ნებართვა

2. იმპორტის შემთხვევაში:

- განცხადება, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: ა) იმპორტისათვის განკუთვნილი სახეობის ნიმუშის (სახეობა, ნაწილი, დერივატი) დასახელებას (ქართული და ლათინური სახელწოდება), რაოდენობას, აღწერას; ბ) ნიმუშის იმპორტის მიზანს (კომერციული, ზოოპარკისათვის, ბოტანიკური ბაღისათვის, ცირკისა და მოძრავი გამოფენისათვის, სამეცნიერო, სანადირო ტროფეი, კერძო საკუთრება, სამედიცინო, საგანმანათლებლო, ბუნებაში რეინტროდუქციისათვის/ინტროდუქციისათვის, ხელოვნურად მოშენებისათვის/ტყვეობაში გამრავლებისათვის); გ) იმპორტისათვის განკუთვნილი სახეობის ნიმუშის წარმოშობის წყაროსა და დროს. დ) ექსპორტიორის მონაცემები (სახელი, მისამართი). ე) განმცხადებლის ვინაობა და მისამართი; ვ) განცხადების წარდგენის თარიღი და განმცხადებლის ხელმოწერა; ზ) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხა;

- კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები, ხოლო ფიზიკური პირისათვის - იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები;

- სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. მოსაკრებლის გადახდა შესაძლებელია ნებისმიერ ბანკში სახაზინო კოდზე: 300773085. მოსაკრებელი ერთი ნებართვის მოსაღებად შეადგენს 50 ლარს;

- ნიმუშის წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

- ცოცხალი ნიმუშის იმპორტის შემთხვევაში -ნიმუშის შენახვისა და მოვლის სათანადო პირობების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტები;

3. რეექსპორტის შემთხვევაში:

- განცხადება, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: ა) რეექსპორტისათვის განკუთვნილი სახეობის ნიმუშების (სახეობა, ნაწილი, დერივატი) დასახელებას (ქართული და ლათინური სახელწოდება), რაოდენობას, აღწერას; ბ) სახეობათა ნიმუშების რეექსპორტის მიზანს (კომერციული, ზოოპარკისათვის, ბოტანიკური ბაღისათვის, ცირკისა და მოძრავი გამოფენისათვის, სამეცნიერო, სანადირო ტროფეი, კერძო საკუთრება, სამედიცინო, საგანმანათლებლო, ბუნებაში რეინტროდუქციისათვის/ინტროდუქციისათვის, ხელოვნურად მოშენებისათვის/ტყვეობაში გამრავლებისათვის); გ) რეექსპორტისათვის განკუთვნილი სახეობის ნიმუშის წარმოშობის წყაროსა და დროს. დ) იმპორტიორის მონაცემები (სახელი, მისამართი). ე) განმცხადებლის ვინაობა და მისამართი; ვ) განცხადების წარდგენის თარიღი და განმცხადებლის ხელმოწერა; ზ) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხა;

- კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები, ხოლო ფიზიკური პირისათვის - იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები;

- სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. მოსაკრებლის გადახდა შესაძლებელია ნებისმიერ ბანკში სახაზინო კოდზე: 300773085. მოსაკრებელი ერთი ნებართვის მოსაღებად შეადგენს 50 ლარს;

- ნიმუშის წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

- ექსპორტიორი ან ბოლო რეექსპორტიორი ქვეყნის CITES-ის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ექსპორტის ნებართვა/რეექსპორტის სერტიფიკატი;

4. ზღვიდან ინტროდუქციის შემთხვევაში:

- განცხადება, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: ა) ზღვიდან ინტროდუქციისათვის განკუთვნილი სახეობის ნიმუშების (სახეობა, ნაწილი, დერივატი) დასახელებას (ქართული და ლათინური სახელწოდება), რაოდენობას, აღწერას; ბ) სახეობათა ნიმუშების ზღვიდან ინტროდუქციის მიზანს (კომერციული, ზოოპარკისათვის, ბოტანიკური ბაღისათვის, ცირკისა და მოძრავი გამოფენისათვის, სამეცნიერო, სანადირო ტროფეი, კერძო საკუთრება, სამედიცინო, საგანმანათლებლო, ბუნებაში რეინტროდუქციისათვის/ინტროდუქციისათვის, ხელოვნურად მოშენებისათვის/ტყვეობაში გამრავლებისათვის); გ) ზღვიდან ინტროდუქციისათვის განკუთვნილი სახეობის ნიმუშის წარმოშობის წყაროსა და დროს. დ) განმცხადებლის ვინაობა და მისამართი; ე) განცხადების წარდგენის თარიღი და განმცხადებლის ხელმოწერა; ვ) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხა;

- კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები, ხოლო ფიზიკური პირისათვის - იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები;

- სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. მოსაკრებლის გადახდა შესაძლებელია ნებისმიერ ბანკში სახაზინო კოდზე: 300773085. მოსაკრებელი ერთი ნებართვის მოსაღებად შეადგენს 50 ლარს;

- ნიმუშის შენახვისა და მოვლისათვის სათანადო პირობების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

5. ველური ბუნებიდან მოპოვებული თეთრყვავილას ბოლქვების/ყოჩივარდას გორგლების კომერციული მიზნით ექსპორტის შემთხვევაში:

- განცხადება, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: ა) ექსპორტისათვის განკუთვნილი სახეობის დასახელება (ქართული და ლათინური სახელწოდება), რაოდენობა; ბ) იმპორტიორის მონაცემები (სახელი, მისამართი). გ) განმცხადებლის ვინაობა და მისამართი; დ) განცხადების წარდგენის თარიღი და განმცხადებლის ხელმოწერა; ე) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხა;

- კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები, ხოლო ფიზიკური პირისათვის - იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები;

- სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. მოსაკრებლის გადახდა შესაძლებელია ნებისმიერ ბანკში სახაზინო კოდზე: 300773085. მოსაკრებელი ერთი ნებართვის მოსაღებად შეადგენს 50 ლარს;

- ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის ასლი;

- თეთრყვავილას ბოლქვების ან/და ყოჩივარდას გორგლების მოპოვების კვოტის დამტკიცების შესახებ ბრძანების ასლი;

6. ხელოვნურად მოშენების ნაკვეთებიდან მოპოვებული თეთრყვავილას ბოლქვების ექსპორტის შემთხვევაში:

- განცხადება, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: ა) ექსპორტისათვის განკუთვნილი სახეობის დასახელება (ქართული და ლათინური სახელწოდება), რაოდენობა; ბ) იმპორტიორის მონაცემები (სახელი, მისამართი). გ) განმცხადებლის ვინაობა და მისამართი; დ) განცხადების წარდგენის თარიღი და განმცხადებლის ხელმოწერა; ე) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხა; ვ) ყოველწლიურად დაგეგმილი მოსაპოვებელი თეთრყვავილას ბოლქვების რაოდენობა; ზ) ნაკვეთზე არსებული თეთრყვავილას ბოლქვების სავარაუდო რაოდენობა; თ) ნაკვეთის მართვის ღონისძიებებს; ი) როდის იქნა პირველად გაშენებული თეთრყვავილას ბოლქვები მოცემულ ნაკვეთზე; კ) პირველად გაშენებული თეთრყვავილას ბოლქვების წყარო; ლ) ინფორმაციას, თუ როდის იქნა უკანასკნელად დარგული თეთრყვავილას ბოლქვები ამ ნაკვეთზე და რა იყო მათი წყარო.

- კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები, ხოლო ფიზიკური პირისათვის - იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები;

- სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. მოსაკრებლის გადახდა შესაძლებელია ნებისმიერ ბანკში სახაზინო კოდზე: 300773085. მოსაკრებელი ერთი ნებართვის მოსაღებად შეადგენს 50 ლარს;

- სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს დადებითი დასკვნა, რომელიც უნდა შეიცავდეს მიწის ნაკვეთზე მოშენებული თეთრყვავილას ბოლქვების ან/და ყოჩივარდას გორგლების საერთო რაოდენობას, საექსპორტო რაოდენობას, მოშენების ხანგრძლივობას, სასაქონლო ბოლქვების/გორგლების მაქსიმალურ რაოდენობას, რომელიც შეიძლება მოპოვებულ იქნეს ნაკვეთიდან ყოველწლიურად, დასკვნის მოქმედების ვადას.